



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეგნატაშვილი გიორგი სიმონის ძე

ეგნატაშვილი გიორგი სიმონის ძე [12 (24). III. 1885, თბილისი, – 16. I. 1962, იქვე], სპორტსმენი (ტანვარჯიში), პედაგოგი. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1936), სსრკ დამს. მწვრთნელი (1954), საქართვე. დამს. მასწავლებელი (1945). ე. იყო ტანმოვარჯიშეთა საზოგადოება „შევარდენის“ ერთ-ერთი დამაარსებელი (1918). პრაღის უმაღლესი სატანვარჯიშო კურსების დამთავრების (1909) შემდეგ მუშაობდა ტანვარჯიშის მასწავლებლად თბილ. სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც მისი ხელმძღვანელობით 1912 მოეწყო ტანმოვარჯიშეთა პირველი საჯარო გამოსვლა. იმავე წელს ე-ის ხელმძღვანელობით თბილ. „სოკოლის“ ტანმოვარჯიშეთა გუნდმა ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშეთა საზოგადოების „სოკოლის“ VI საიუბილეო შეკრებაზე (პრაღა) დაბალ ჯგუფში I ადგილი დაიკავა, ხოლო ე. ტანვარჯიშული მრავალჭიდის პირად შეჯიბრებაში III ადგილზე გავიდა. 1918–37 ე. ხელმძღვანელობდა მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზალბრდას თბილისის სკოლებსა და ტექნიკუმებში. 1937–41 განაგებდა ტანვარჯიშის კათედრას საქართვე. ფიზკულტურის სახელმწ. ინ-ტში, 1941-იდან მუშაობდა ფიზალბრდის უფროს მასწავლებლად თავდაპირველად თსუ-ში, შემდეგ საქართვე. პოლიტექ. ინ-ტში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. ე-ის სახელი მიეკუთვნა თბილ. განათლების განყ-ბის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრ. სატანვარჯიშო სკოლას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ა. გვახარია
